საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

სექსუალური შევიწროების აკრძალვა საჯარო სივრცეში

(შედარებითსამართლებრივი
ანალიზი)

2021

ავტორი
მარიამ გაიპარაშვილი

შინაარსი

სექსუალური შევიწროების აკრძალვა საჯარო სივრცეში 2
ავსტრია 2
ბელგია 3
გაერთიანებული სამეფო 3
ესტონეთი 4
კანადა 4
ლიეტუვა 5
ლუქსემბურგი 6
პოლონეთი 6
პორტუგალია 6
საფრანგეთი 7
სლოვაკეთი 7
სლოვენია 8
ფინეთი 8
შვეიცარია 8
ხორვატია 9
შეჯამება 9

სექსუალური შევიწროების აკრძალვა საჯარო სივრცეში

(შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით შეკითხვით მიმართა ECPRD-ს (The European Centre for Parliamentary Research and Documentation) და გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. სსიპ პარლამენტის კვლევითი ცენტრის წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ECPRD-ის წევრი ქვეყნების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კვლევითმა ცენტრმა გაანალიზა შემდეგი ქვეყნების პასუხები: **ავსტრია; ბელგია; ესტონეთი; ინგლისი; ისრაელი; კანადა; ლატვია; ლიტვა; ლუქსემბურგი; ნორვეგია; პოლონეთი; პორტუგალია; საფრანგეთი; სლოვაკეთი; სლოვენია; უნგრეთი; ფინეთი; შვეიცარია; ჩეხეთი; ჩრდილოეთ მაკედონია; ხორვატია.** დოკუმენტში ასახულია ის რეგულაციები და პრაქტიკა, რომელიც ყველაზე ეფექტურად არის მიჩნეული მსოფლიოს მასშტაბით.

ავსტრია

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს (§ 218.).[1] დასახელებული ნორმით აკრძალული ქმედება ჩადენილი უნდა იყოს საჯაროდ და მისი დანახვის საშუალება აქვს საზოგადოებას (§ 69). ეს დანაშაული ითვალისწინებს ფიზიკურ შეხებას, როგორც საკუთარ ასევე სხვა პირის სხეულის ინტიმურ ადგილებში, თუმცა, ეს დანაშაული არ მოიცავს ვერბალური ფორმის სექსუალურ შევიწროებას. ვერბალური სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლის განსჯადი საკითხი იმ შემთხვევაშია, თუ ის წარმოადგენს პატივისა და ღირსების წინააღმდეგ დანაშაულს *(§§ 111 CC et seq.)* ან მიიჩნევა სიძულვილის ენად *(Hate Speech, § 283 CC)*.[2] ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით, ასევე, აკრძალულია პირის შეურაცხყოფა (§ 115 CC) სხვა პირების თანდასწრებით.[3] ეს ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მინიმუმ სამი პირის თანდასწრებით. შესაბამისად, თუ შეურაცხყოფა განხორციელდა სოციალურ სივრცეში (ნებისმიერ ონლაინ პლატფორმაზე), მასზე გავრცელდება ზემოთდასახელებული მუხლი.

1. *(1) Any person who harasses another by performing a sexual act 1. on the other person, or 2. in front of the other person in circumstances capable of causing a reasonable nuisance is liable to imprisonment for up to six months or a fine not exceeding 360 penalty units, unless the offence is punishable with a higher penalty by another provision. (1a) A person is also liable under para. 1 if the person violates the dignity of another by intensive touching of a part of the body associated with the sexual sphere. (2) The same penalty applies to any person who performs a sexual act publicly and in circumstances in which the direct perception of the person's conduct is capable of causing a reasonable nuisance. (3) In cases under paras. 1 and 1a the perpetrator may only be prosecuted with the authorization of the victim.*

2. *(1) Any person who publicly in a manner accessible to many people 1. instigates the use of violence or incites hate against a church or religious community, or any other group of persons defined by existing or missing features relating to race, colour, language, religion or ideology, nationality, ancestry or national or ethnic origin, gender, impairment, age, or sexual orientation or any member of such group specifically because of the membership in such a group, 2. berates one of the groups listed in subpara. 1 or any member of such a group with the purpose to violate the human dignity of another and in a manner capable of decrying or degrading the group or the member of the group in the public opinion,...*

3. *(1) Any person who publicly or in front of multiple other people insults or mocks another, does bodily harm to another or threatens another with bodily harm is liable to imprisonment for up to three months or a fine not exceeding 180 penalty units.. (2) The act is done in front of multiple people if it is done in the presence of more than two persons other than the perpetrator and the victim and if these persons can observe the act.*

კვლევითმა ცენტრმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია ე.წ. SLAPP სარჩელებისგან დაცვის თაობაზე. ავსტრიის განმარტებით, სექსუალური შევიწროების მსხვერპლების გამოხატვას არ იცავს სპეციალური კანონმდებლობა დეფამაციის სარჩელებისგან, თუმცა არსებობს დაცვის სხვა მექანიზმი. ავსტრიის საპროცესო სამართალი იცავს მოქალაქეებს უსაფუძვლო დავებისგან და თუ დადასტურდა, რომ სარჩელი უსაფუძვლო და არაკეთილსინდისიერი განზრახვით იყო შეტანილი, მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურება ეკისრება.[4]

სისხლის სამართლის გარდა, თანასწორი მოპყრობის აქტი კრძალავს სექსუალურ შევიწროებას შრომით და მომსახურების სფეროებში. ამასთან, კანონი იცავს მსხვერპლებს ვიქტიმიზაციისგან, თუ მსხვერპლი გადაწყვეტს საჩივრის წარდგენას ან სხვა სამართლებრივი პროცედურის დაწყებას. ავსტრიის პასუხში აღნიშნულია, რომ დეფამაციის ბრალდებები იქაც გამოიყენებენ მსხვერპლების გასაჩუმებლად და დეფამაცია სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს *(§111 Strafgesetzbuch-StGB)*. ამ საფრთხეებისგან თავის დასაცავად თანასწორობის ომბუდსმენი საქმეებს კონფიდენციალურად განიხილავს.

ბელგია

ბელგიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სექსუალური შევიწროება აკრძალულია, როგორც საჯარო სივრცეში (ქუჩა, ტრანსპორტი და სხვა) ასევე ნახევრად საჯარო სივრცეში (მაღაზია, ბარი და სხვა).[5] კიბერბულინგი განმარტებულია როგორც მორალური შევიწროება. მართალია, კანონი არ განმარტავს კიბერბულინგს, თუმცა, კრძალავს მორალურ შევიწროებას (moral harassment) სისხლის სამართლის კოდექსით.[6]

გაერთიანებული სამეფო

საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას არ კრძალავს სპეციალური კანონი. შევიწროებისგან დაცვის აქტი *(Protection from Harassment Act 1997)* სისხლისსამართლებრივ სანქციას აწესებს შევიწროებისთვის და არ განმარტავს შევიწროებას.[7] განმარტების თანახმად, შევიწროების აკრძალვა ეხება საჯარო/კერძო სივრცეებს და ონლაინ პლატფორმებს.

გაერთიანებული სამეფოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლიცი-

4. *If the **value in dispute of a claim** is set to high by the claimant, in order to raise the costs of the proceeding to a deterring height, the value in dispute can be reduced by the court, comprehensive **legal aid** is available to parties to a civil proceeding if the costs of the proceeding would burden them unduly, the costs of the proceeding are allocated by a **winner-takes-it-all-principle**, so persons that are sued without reason and consequently win the lawsuit get reimbursed, and **damages** can be awarded for **litigating in bad faith.***

5. შენიშვნა: საჯარო სივრცის მსგავსი ქვეკატეგორიებია ჩრდილოეთ **მაკედონიაში**: *The Law on misdemeanors against the public order defines public space as a place that has free access to an undefined number to people without any conditions (streets, schools, squares, roads, picnic areas, ports, waiting rooms, bars, cafes, restaurants, shops, etc.) or under certain conditions (sports stadiums and playgrounds, public transport, cinemas, theatres and concert halls, exhibition spaces, gardens, etc.), as well as other places, which in a certain period are used for such purposes (premises where public events, competitions are organized). However, the Law applies even when the crime takes place in a space that is not considered public, but is accessible to the public (balcony, terrace, trees, stairs, etc.) or if has a consequence on the public place. Violation of the law is sanctioned with monetary penalties.*

6. *442bis, It sentenced to prison terms and firm fines "anyone who harassed a person, when he must have known that it was seriously affecting the peace of the person concerned.*

7. *Prohibition of harassment. (1) A person must not pursue a course of conduct— (a) which amounts to harassment of another, and (b) which he knows or ought to know amounts to harassment of the other.*

აში შეტანილი განცხადებები დაცულია დეფამაციის თაობაზე სარჩელებისგან. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული მიზნად ისახავს ყველა მსხვერპლის დაცვას და უსაფრთხო გარანტიების შექმნას, რომ მათ არ ეშინოდეთ დანაშაულზე საუბრის.[8]

ესტონეთი

ესტონეთის კანონმდებლობა სექსუალურ შევიწროებას ორი ძირითადი კანონით არეგულირებს. თუ ქმედება წარმოადგენს ფიზიკურ სექსუალური ხასიათის აქტს/ქცევას, პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[9] ამასთან, გენდერული თანასწორობის აქტი კრძალავს სექსუალური შევიწროების ვერბალურ, არავერბალურ, ფიზიკურ ფორმებს შრომით ურთიერთობებში. შესაბამისად, თუ ქცევა სოციალურ პლატფორმაზე ხორციელდება და არის შრომითი ურთიერთობის ნაწილი, პასუხისმგებლობა დაეკისრება შემავიწროებელს.

კანადა

სისხლის სამართალში არის რამდენიმე მუხლი, რომელიც განმარტავს საჯარო სივრცეს (sections 150, 197(1) and 319(7) of the Criminal Code (R.S.C. 1985, c. C-46)).[10] ეს განმარტება მიემართება ისეთ დანაშაულებს როგორიც არის არასათანადო ქცევა (section 173), სიშიშვლე (section 174, section 175) და საჯაროდ სიძულვილის წაქეზება/წახალისება (section 319. Section 213).

კანადის სისხლის სამართალი არ კრძალავს სექსუალურ შევიწროებას საჯარო სივრცეში, თუმცა მსგავსი ქცევა შესაძლოა იყოს დასჯადი ზემოთდასახელებული მუხლების მიხედვით. მაგალითად, სექსუალური შევიწროება ონლაინ სივრცეში დასჯადია, თუ ის მოიცავს: ინტიმური ფოტოების უნებართვოდ გაგზავნას, მუქარას, კრიმინალური შევიწროებას (criminal harassment, section 264) ან შემავიწროებელ კომუნიკაციას (section 372(3)).[11]

კანადის სამმა პროვინციამ შეუმიშავა ე.წ. anti-SLAPP (Strategic Lawsuit Against Public Participation) კანონები, თუმცა არც ერთი კანონი არ აკონკრეტებს, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ავტომატურად არიან დაცულნი დეფამაციის სარჩელებისგან:

8. *The Court of Appeal, in Westcott v Westcott [2008] EWCA Civ 818, held that there is an absolute defence against defamation claims where the victim (or alleged victim) is reporting a crime to the police. This protection, the Court said, is essential to the functioning of the criminal justice system [para 36]: The police cannot investigate a possible crime without the alleged criminal activity coming to their notice. Making an oral complaint is the first step in that process of investigation. In order to have confidence that protection will be afforded, the potential complainant must know in advance of making an approach to the police that her complaint will be immune from a direct or a flank attack. […] In my judgment, any inhibition on the freedom to complain will seriously erode the rigours of the criminal justice system and will be contrary to the public interest. In my judgment immunity must be given from the earliest moment that the criminal justice system becomes involved. It follows that the occasion of the making of both the oral complaint and the subsequent written complaint must be absolutely privileged.*

9. *An intentional physical act of sexual nature against the will of another person committed against him or her with degrading objectives or consequences.*

10. *any place to which the public have access as of right or by invitation, express or implied; any place to which the public have access as of right or by invitation, express or implied, and any motor vehicle located in a public place or in any place open to public view.*

11. ob.: https://www.canada.ca/en/public-safety-canada/campaigns/cyberbullying/cyberbullying-against-law.html

- კვებეკმა 2009 წელს (*Bill 9, An Act to amend the Code of Civil Procedure to prevent improper use of the courts and promote freedom of expression and citizen participation in public debate*);
- ონტარიომ 2015 წელს (*Protection of Public Participation Act, 2015*, S.O. 2015, c. 23 – Bill 52);
- ბრიტანეთის კოლუმბიამ 2019 წელს (*Protection of Public Participation Act*, SBC 2019, c. 3).

2020 წელს კანადის უზენაესმა სასამართლომ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება (*1704604 Ontario Ltd. v. Pointes Protection Association*, 2020 SCC 22) ონტარიოს anti-SLAPP კანონთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი წარმოადგენდა SLAPP-ს და განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე ის მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დაცული. ღირსების/რეპუტაციის შელახვისთვის სარჩელი თავისი არსით და მნიშვნელობით ასევე ფუნდამენტურია და ამიტომაა მნიშვნელოვანი ბალანსის დაცვა.[12]

2020 წელს განხილულ კიდევ ერთ საქმეში (*Bent v. Platnick*, 2020 SCC 23), სასამართლომ პროცესი არ შეწყვიტა და განმარტა, რომ სარჩელი არ წარმოადგენდა SLAPP-ს. სადაოდ გამხდარი გამოხატვა წარმოადგენდა მოსარჩელეზე თავდასხმას. West Coat Leaf-მა, რომელიც გენდერულ თანასწორობაზე მუშაობს და ჩართული იყო ორივე საქმეში, განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება დიდ საფრთხეს შეიცავს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებისთვის.[13]

ბრიტანეთის კოლუმბიაში 2021 წელს შეიტანა დეფამაციის სარჩელი პროფესორმა იმ პირის წინააღმდეგ რომელიც მას სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობაში ადანაშაულებდა. საზოგადოების აზრით ეს გადაწყვეტილება იქნება ე.წ. „ტესტი“ იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ქმედითია anti-SLAPP კანონმდებლობა და ხომ არ იქნება ეს გადაწყვეტილება გამყინავი ეფექტის მქონე.[14]

ლიეტუვა

ლიეტუვას კანონმდებლობა სექსუალური შევიწროების კონტექსტში არ განმარტავს საჯარო სივრცეს. ამასთან არსებული განმარტებები ქმედებების მიხედვით განსხვავებულია და არ არსებობს საერთო განმარტება. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ერთ-ერთი კანონის (Law of the Republic of Lithuania on the Assembly) დეფინიცია, რომლის თანახმად საჯარო სივრცეს წარმოადგენს ყველა ადგილი, რომელიც საჯარო გამოყენებისთვისაა.[15]

12. *To show that the lawsuit is not a SLAPP, plaintiffs could show the following three things: The first was that they were likely to win. The second was that the person being sued had no valid defence. The third was that it was more important to the public to let the lawsuit go forward than to protect what the defendant said.*

13. იხ.: http://www.westcoastleaf.org/our-publications/supreme-court-of-canadas-anti-slapp-judgments-put-survivors-of-gender-based-violence-at-risk/

14. იხ.: https://www.thestar.com/news/canada/2021/04/08/she-accused-a-university-prof-of-sexual-assault-now-hes-suing-for-defamation-some-fear-the-landmark-case-could-have-a-chilling-effect.html

15. *"public space" as the spaces for public usage of urban, settlement streets, squares, parks, squanders and public buildings.*

ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის მიერ მოწოდებული პასუხის თანახმად, ადგილობრივი კანონმდებლობა გამოყოფს შევიწროების ორ სახეს: მორალური და სექსუალური.[16] მათი განმარტებით, შევიწროება აკრძალულია კერძო, საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაში, მათ შორის ონლაინ სივრცეში.

სექსუალური შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახეს, კრძალავს სისხლის სამართლის კოდექსი (მ.454). 442-2 მუხლი დასჯადად აცხადებს ობსესიურ შევიწროებას, ხოლო, ვოიერიზმი აკრძალულია 385-ე მუხლით. სექსუალური შევიწროება ასევე აკრძალულია შრომით ურთიერთობებში. არც ერთი კანონი არ აკეთებს საჯარო სივრცის განმარტებას.

ლუქსემბურგის განმარტებით, მკაფიო მიჯნა არსებობს ვერბალურ სექსუალურ შევიწროებასა და სიძულვილის ენას შორის. სიძულვილის ენა განმარტებულია და აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსით. დეფინიციის თანახმად, სიძულვილის ენა მიზნად ისახავს დისკრიმინაციის და სიძულვილის წაქეზებას, მაშინ როდესაც ვერბალური შევიწროება თავად არის პირდაპირი ძალადობა და სქესის ნიშნით დისკრიმინაცია.[17]

პოლონეთი

პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, თუ დამსაქმებელი არ მოახდენს სექსუალური შევიწროების საჩივარზე სათანადო რეაგირებას, მას დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა (მ.218). პოლონეთის კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას დაქვემდებარებულ ურთიერთობაში (შრომითი; მომსახურება), შესაბამისად, პოლონეთის კანონმდებლობა არ იცნობს საჯარო სივრცის დეფინიციას.

პორტუგალია

პორტუგალიაში სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს (მ. 170).[18] ამასთან, პორტუგალიაში კრიმინალიზებულია სიძულვილის ენა (მ. 240).

---

16. *imposing on a person physical, verbal, written or gestural comments or behaviours based on sex or gender identity or of a sexual nature that are intended to degrade and humiliate a person, to create an intimidating, hostile or offensive situation in order to obtain or not obtain an act of a sexual nature.*

17. *Art. 457-1,whoever, either by speeches, shouts or threats uttered in public places or meetings, or by writings, printed matter, drawings, engravings, paintings, emblems, images or any other medium of writing, speech or image sold or distributed, put on sale or displayed in public places or meetings or by placards or posters exposed to public view, or by any means of audiovisual communication, incites to the acts provided for in article 455, to hatred or violence towards a person, natural or legal, a group or a community based on one of the elements referred to in article 454.*

18. *Anyone who harasses another person, performing exhibitionist acts in front of that person, formulating proposals of a sexual nature or forcing that person into contact of a sexual nature, is punishable with up to 1 year imprisonment or with a fine of up to 120 days.*

საფრანგეთი

საფრანგეთში 2018 წელს გამკაცრდა პასუხისმგებლობა ე.წ. ქუჩაში შევიწროების შემთხვევებზე და სამართალდარღვევების განმეორებისთვის ჯარიმად 3000 ევრო განისაზღვრა. ქუჩაში შევიწროების (street harassment) განმარტება რთულია, რადგან არ არსებობს საჯარო სივრცის დეფინიცია. კანონი ასევე კრძალავს, სხვა პირის სხეულის ინტიმური ნაწილების ნახვას მათი თანხმობის გარეშე.

ზემოთდასახელებული ცვლილებების თანახმად, გაფართოვდა ონლაინ შევიწროების ცნება და მოიცავს შემთხვევებს, როდესაც პირი ხდება კოორდინირებული შეტევის მსხვერპლი ონლაინ სივრცეში. პრაქტიკაში, ონლაინ პლატფორმები აღიქმება საჯარო სივრცედ, თუმცა არსობრივად განსხვავებულია ქუჩაში შევიწროების შემთხვევებისგან. საფრანგეთში ონლაინ სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

საფრანგეთის მიერ მოწოდებულ პასუხშიც ხაზგასმული, რომ ვერბალური სექსუალური შევიწროება წარმოადგენს სექსისტურ გამონათქვამებს ხშირად, რაც თავის მხრივ შესაძლოა მიჩნეულ იყოს სიძულვილის ენად.

სლოვაკეთი

სლოვაკეთში სექსუალური შევიწროების შემთხვევების ნაწილი სისხლის სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამასთან, კანონმდებლობა განმარტავს თუ რა წარმოადგენს საჯარო სივრცეს და დეფინიცია საკმაოდ ფართოა.[19] სლოვაკეთის პარლამენტის განმარტებით, ადგილი ითვლება საჯაროდ, როდესაც მასზე წვდომა აქვს ადამიანთა ფართო ჯგუფს და, როგორც წესი, იქ ადამიანები იმყოფებიან. შესაბამისად, ქმედებას ორზე მეტი ადამიანი შეიძლება შეესწროს ან ადგილის თავისებურებიდან გამომდინარე ეს ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის მედიის საშუალებით.[20]

სოციალური მედიის თაობაზე, ქვეყანამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ის ჩაითვლება საჯარო სივრცედ. ასევე, მათი კანონმდებლობა კრძალავს აკიდებას (stalking) რაც განსაკუთრებით ხშირია ონლაინ პლატფორმებზე. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში გაკეთდა ახალი ჩანაწერი (*Dangerous harassment*), რომელიც ძალაში 2021 წლის 1 ივლისიდან შევა და პირდაპირ კრძალავს სოციალურ ქსელში პირის დამცირებას. ამ დანაშაულისთვის სანქციის სახით გათვალისწინებულია სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.[21]

19. *It is stipulated that a criminal offence is committed publicly if it is committed a) by the content of a printed document or distribution of a file, film, radio, television, use of a computer network, or by other similarly effective methods, or b) in the presence of more than two persons.*

20. *Accessibility means the ability to see and hear the perpetrator's speech, even if the crime scene is not directly accessible to the public (e.g. it is located behind a fence, etc.). It is sufficient if such a place is accessible only to certain persons determined, for example, by the nature of their employment (factory, construction site, etc.) or otherwise (health centre, school) and at a certain time (in season, during opening hours, etc.). However, such a place will not be flats and other spaces in a residential house or a dormitory, hostel or office.*

21. *Who intentionally degrades the quality of his or her life in another way by means of an electronic communication service, computer system or computer network a) by prolonged intimidation, intimidation, misconduct on his/her behalf, or other similar long-term harassment; or b) by unauthorisedly publishing or making available to another person a video, audio or video-audio recording of his/her expression of a personal nature obtained with his/her consent, capable of endangering his/her seriousness or causing him/her other serious harm,*

სლოვენია

სლოვენიის კანონმდებლობა სექსუალურ შევიწროებას კრძალავს შრომითი და თანასწორობის კანონმდებლობით. სისხლის სამართალი სექსუალურ შევიწროებას არ განიხილავს დასჯად ქმედებად. თუმცა, თუ სექსუალური შევიწროება ჩადენილია 15 წელს მიუღწეველ პირთან ის განიხილება სისხლის სამართლის კოდექსის 173.4 მუხლის კონტექსტში. ესეთი შემთხვევა შესაძლოა იყოს, მაგალითად, გაშიშვლება არასრულწლოვნის თანდასწრებით და ეს ქმედება დასჯადია 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

სლოვენიის პარლამენტის კვლევითი ცენტრის განმარტებით, სოციალური პლატოფრმა განიხილება საჯარო სივრცედ. ის მოიცავს აპლიკაციებს, პლატფორმებს და ინტერნეტ გვერდებს, რომელიც წარმოადგენს სოციალურ კავშირს და საერთო ინტერესების ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას იძლევა.

ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სექსუალური შევიწროების მსხვერპლის გამოხატვის უფლებას დეფამაციის სარჩელის დროს ენიჭება უპირატესობა, თუმცა, სექსუალური ძალადობისა და შევიწროების საქმეები დახურულია სასამართლოში.

ფინეთი

ფინეთში, სექსუალური შევიწროების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: ფიზიკური, მაგალითად, შეხება, და ვერბალური. ორივე ფორმა აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით.22 ვერბალური სექსუალური შევიწროება/დეფამაცია იკრძალება მათ შორის ონლაინ სივრცეშიც. ამასთან, ეს შემთხვევები შესაძლოა დასჯადი იყოს როგორც შემავიწროებელი კომუნიკაცია23 ან აკიდება.[24]

იუსტიციის სამინისტრო ამჟამად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებზე და გეგმავს სექსუალური შევიწროების დეფინიციის გაფართოებას.25 მაგალითად, ონლაინ სივრცეში უხამსი, სექსუალური არასასურველი მიმოწერის რეგულაცია.

შვეიცარია

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს სექსუალურ შევიწროებას (მ. 198).[26] დეფინიცია ხაზგასმას არ აკეთებს საჯარო სივრცეზე და იცავს სექსუალურ თავისუფლებას როგორც საჯარო, ისე კერძო სივრცეში. იმავე მუხლით, დას-

22. Chapter 20, Section 5(a) and Chapter 24, Sections 9 and 10, იხ.: https://www.finlex.fi/fi/laki/kaannokset/1889/en18890039_20150766.pdf

23. იქვე, Chapter 24, Section 1(a)

24. იქვე, Chapter 25, Section 7(a)

25. *Section 5(a) – Sexual harassment (509/2014) A person who, by touching, commits a sexual act towards another person that is conducive to violating the right of this person to sexual self-determination, shall be sentenced, unless punishment is provided elsewhere in this Chapter for the act, for sexual harassment to a fine or to imprisonment for at most six months.*

26. *any person who causes offence by performing a sexual act in the presence of another who does not expect it, any person who sexually harasses another physically or through the use of indecent language, is liable on complaint to a fine.*

ჯადია სოციალურ პლატფორმების მეშვეობით სექსუალური შევიწროება, თუ შეურაცხმყოფელი სიტყვები მიემართება ერთ კონკრეტულ პირს. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ 198-ე მუხლში ნახსენები „სიტყვები“ გულისმხობს არა მხოლოდ ვერბალურად წარმოთქმულ შეურაცხყოფას, არამედ ნაწერსაც და შესაბამისად ამ მუხლის რეგულირების ქვეშ მოექცა ონლაინ სივრცეებიც.

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს სიძულვილის ენა (art. 261bis CC), რომელიც რასის, ეთნოსის, რელიგიის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ავრცელებს სიძულვილს. შესაბამისად, ამ დეფინიციაში არ ექცევა ვერბალური სექსუალური შევიწროება.

ხორვატია

ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება დასჯად ქმედებას წარმოადგენს და სასჯელად თავისუფლების 2 წლამდე აღკვეთაა განსაზღვრული.[27] ამ დანაშაულის მსგავსი შემადგენლობაა განსაზღვრული 133-ე მუხლში, რომელიც სამსახურებრივ ადგილას არასათანადო მოპყრობას კრძალავს. დანაშაული მოიცავს შეურაცხყოფას, დამცირებას, არასათანადო მოპყრობას ან ისეთ ქცევას, რომელიც შემაწუხებელია, თუ ეს ქმედება იწვევს პირის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სხვა უფლების დარღვევას.

ხორვატიის პასუხში განმარტებულია, რომ საჯარო სივრცეს არ განმარტავს ზემოთდასახელებული მუხლები, თუმცა, რადგან დასჯადია მათ შორის არასასურველი ვერბალური ქცევა, რომელსაც აქვს სექსუალური ხასიათი, აღნიშნული კრძალავს ონლაინ პლატფორმებზე იმავე ქცევას.

ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი კრძალავს სიძულვილის ენის საჯაროდ გამოყენებას. აკრძალულია სიძულვილისა და ძალადობის წაქეზება ბეჭდურ მედიაში, რადიოში, ტელევიზიით, კომპიუტერული სისტემით/ქსელებით, საჯარო შეკრებების დროს.[28]

შეჯამება

შედარებითსამართლებრივი კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკას, რომელთა მთავარი მახასიათებლები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს საკანონმდებლო ცვლილებებისთვის:

ე.წ. Anti-SLAPP კანონმდებლობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას. გაერთიანებული სამეფო კრძალავს დეფამაციის სარჩელებს იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს დაწყებული აქვს სამართლებრივი დავა (პოლიციაში მიმართვა ან სხვა მექამიზმი). ავსტრიაში აკრძალულია სარჩელის ბოროტი განზრახვით გამოყენება. ყველა ზემოთდასახელებული კანონი მითითებულია კვლევაში;

27. *whoever sexually harasses another person who is their subordinate or who is in a situation of dependence with respect to them or who is especially vulnerable due to age, illness, disability, addiction, pregnancy, a severe physical or mental disability, shall be punished by imprisonment not exceeding two years. Sexual harassment shall mean any form of unwanted verbal, non-verbal or physical conduct of a sexual nature which aims at or effectively constitutes a violation of the dignity of a person, which creates an intimidating, hostile, degrading or offensive environment.*

28. *whoever in print, through radio, television, computer system or network, at a public gathering or in some other way publicly incites to or makes available to the public tracts, pictures or other material instigating violence or hatred directed against a group of persons or a member of such a group on account of their race, religion, national or ethnic origin, descent, colour, gender, sexual orientation, gender identity, disability or any other characteristics shall be punished by imprisonment not exceeding three years.*

ქვეყნების აბსოლიტური უმრავლესობა სექსუალურ შევიწროებას კრძალავს სისხლის სამართლის კოდექსით. ქვეყნების მცირე ნაწილი შევიწროების ყველა შემთხვევას დასჯადად აცხადებს, ხოლო დიდი ნაწილი აკონკრეტებს სისხლის სამართლის კოდექსში ამ შემთხვევებს. მაგალითად, სლოვენია დასჯადად აცხადებს არასრულწლოვნის თანდასწრებით გაშიშვლებას, კანადა ცალკეულ ქცევებს აკონკრეტებს, ავსტრია ფიზიკური შეხების შემთხვევებს (როგორც საკუთარ ინტიმურ სხეულებზე საჯაროდ შეხება, ისე სხვა პირის) და სხვა;

ონლაინ სივრცეში სექსუალური შევიწროება ყველა ქვეყანაში იკრძალება. ზოგი ქვეყანა მას საჯარო სივრცის განმარტების ქვეშ მოიაზრებს, ან დამოუკიდებლად დეტალურად აწესრიგებს კიბერბულინგის/ონლაინ შევიწროების საკითხებს;

ქვეყნების დიდ ნაწილს სექსუალური შევიწროების დეფინიციაში არ აქვთ საჯარო სივრცის განმარტება, თუმცა, იყენებენ სხვა მუხლებში არსებულ განმარტებებს. ქვეყნების უმრავლესობა საჯარო სივრცეს პრაქტიკაში ფართოდ განმარტავს. ყველა დეფინიცია ასახულია დაიჯესტში;

ქვეყნების დიდი ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადად აცხადებს დეფამაციას;

ქვეყნების დიდი ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადად აცხადებს სიძულვილის ენას და დეფინიციაში არ არის მკაფიო გამიჯვნა სიძულვილის ენასა და ვერბალურ სექსუალურ შევიწროებას შორის. ზოგი კანონმდებლობა სიძულვილის ენაში დაცულ ნიშნად გენდერს არ მოიაზრებს. ვინც მოიაზრებს, ნაწილი აღნიშნავს, რომ ქეისები შეიძლება წარმოადგენდეს როგორც სიძულვილის ენას, ისე ვერბალური ნიშნით სექსუალურ შევიწროებას. თუმცა, ქვეყნების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ორი ცნება მკაფიოდ გამიჯნულია. მათ შორის კავშირი არ არსებობს, რადგან სიძულვილის ენის მიზანი სიძულვილის და დისკრიმინაციის წაქეზებაა, ხოლო სექსუალური შევიწროება უკვე დისკრიმინაციის განხორციელება და გენდერული ნიშნით სიძულვილის გამოხატვაა.

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის კანონშემოქ-მედებითი და საზედამხედველო საქმიანობის მხარდასაჭერად. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს და არ წარ-მოადგენს პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას. ნაშრომი დაცულია საავტორო უფლებით და დოკუმენტის ან მისი ნაწილის გამოყენება წყაროს მიუთითებლად, ასევე მისი გავრცელება, ასლების შექმნა და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

ავტორი: პარლამენტის კვლევითი ცენტრის
მთავარი მკვლევარი - მარიამ გაიპარაშვილი
Email: mgaiparashvili@parliament.ge